

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ჯუმბერ ბერმენიშვილს

მუნიციპალიტეტის მერის მინდია ჟღერას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

დადგენილების პროექტი შემუშავება განპირობებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის შედეგად განხორციელებული ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც უქმდება მერიის ზედამხედველობის სამსახური და ფუნქციონირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია“, რომელიც იქნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამართალმემკვიდრე და განხორციელებს უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობით ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც დაკავშირებული იყო ზედამხედველობის სამსახურის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან საჭიროებს ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას.

დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 136-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის მერი:

მინდია ჟღერია